პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 29 აპრილი 2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ..... აპრილის №..... წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412722914) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“ საგრანტო პროექტის ფარგლებში (გრანტის №81308768), ქალაქ ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერის არეალში (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.01.546) მოწყობილი მცირე მეწარმეობის განვითარებისა და ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის (ხის სავაჭრო ჯიხური გარე სივრცით - ერთი ერთეული და ხის კონსტრუქციის ჯიხური რკინა-ბეტონის საძირკვლის ფილაში - ცხრა ერთეული) უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი №412722914) მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით

გადაცემული მოძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებით, მცირე მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“ საგრანტო პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი №81308768), ქალაქ ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერის არეალში (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.03.01.546) მოწყობილ იქნა მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, 2024 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №387 ხელშეკრულების თანახმად (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე №NAT240015989). შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებაა 242 689 (ორას ორმოცდაორი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრა) ლარი და 29 თეთრი.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი